

შეთანხმებულია

პედაგოგიურ საბჭოსთან

სხდომის ოქმი N 1 (08 სექტემბერი, 2021 წელი)

„ვამტკიცებ:“

სკოლის დირექტორი:  ნინო მურვანიძე



სასკოლო სასწავლო გეგმა

სკოლის დირექცია, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს პირველი კვირის ბოლომდე, უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის და ასევე, ესგ-ში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სკოლის ვებგვერდზე და სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით, ბიბლიოთეკისა და კლასის დამრიგებლების მეშვეობით).

2021-2022 სასწავლო წელი

სასკოლო სასწავლო გეგმის სარჩევი

შესავალი	3
მისია	3
სკოლის მისია საფეხურების მიხედვით	4
სასწავლო კალენდარი	5
დღის რეჟიმი	6
საათობრივი ბაღე	8
დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა	8
საგნობრივი კათედრები	10
მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება სკოლაში	13
შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი	16
ქულების გამონაგარიშების წესი	16
კლასისა და საფეხურის დაძლევა	17
გამოცდების შესახებ.....	17
საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი	20
კლასის დამრიგებლის მუშაობის პრინციპები	21
ინკლუზიური განათლება	26
დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება	27
განხორციელებული ღონისძიებების აღწერა	28
პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა	30
დანართები	31

შესავალი

შპს ელიტური სკოლა „გორდას“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაზიარებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა, - შექმნას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას:

საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგი; გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;

შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას, ანუ მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით;

სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პედაგოგთა და საგნობრივი კათედრების აქტიური მონაწილეობით, შეთანხმებულია სკოლის პედსაბჭოსთან და დამტკიცებულია დირექტორის მიერ.

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმას, ასევე, აცნობს სკოლაში ჩარიცხულ ნებისმიერ ახალ მოსწავლესა და მის მშობელს.

სკოლის მისია

შეუქმნას მოსწავლეებს ჯანსაღი, თავისუფალი შემოქმედებითი და უსაფრთხო სასკოლო გარემო. ხელი შეუწყოს მათ საკუთარი შესაძლებლობების, ინდივიდუალური მიდრეკილებებისა და ინტერესების გამოვლენა-განვითარებაში, მაძიებელ, შემოქმედ, წარმატებულ პიროვნებად ფორმირებაში; დაეხმაროს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობითი უნარებისა და თვითმყოფადობის განვითარებაში, მომავალი გზის სწორად არჩევასა და ტოლერანტული, საკუთარი და სხვისი უფლებების დამცველ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მისიის მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ხელს უწყობს:

ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას;

შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სასკოლო საზოგადოებისთვის;

სამოქალაქო, სპორტულ, სახელოვნებო, საწრეო აქტივობებსა და პროექტებში სხვადასხვა კლასის

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობას;

თითოეული მასწავლებლისა და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო რესურსებზე

(ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, რესურსოთახი).

სკოლაში წახალისებულია თანამშრომლების პროფესიული განვითარების ნებისმიერი აქტივობა, ჯილდოვდება საუკეთესო პედაგოგი და საუკეთესო დამრიგებელი, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული მასწავლებელი/მოსწავლე, ასევე, ფინანსდება მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, განსხვავებული აზრის მოსმენა და აღიარება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით:

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე სამივე : დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.

დაწყებითი საფეხურის მისია

საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება,

ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო

საფეხურისთვის.

საბაზო საფეხურის მისია

საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

საშუალო საფეხურის მისია

საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის

გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად

მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი

ღირებულებების შესაქმნელად.

მოსწავლეთა რაოდენობა

სკოლაში თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 20 მოსწავლით.

ფინანსურად გაძლიერების შემთხვევაში, სკოლა ეცდება თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა შეამციროს 15 მოსწავლემდე.

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა

განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის თანაკლასელთა მხრიდან მზრუნველობის დანერგვის სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი

სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა;

I კლასის მოსწავლეთათვის 2021-2022 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2022 წლის 27 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2022 წლის 20 მაისი;

2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2021 წლის 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2022 წლის 17 იანვარს;

2021-2022 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

უქმე დღეები	
14.10.2021	სვეტიცხოვლობა
23.11.2021	გიორგობის დღე
01-02.01.2022	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
07.01.2022	შობა
19.01.2022	ნათლისღება
03.03.2022	დედის დღე
08.03.2022	ქალთა საერთაშორისო დღე
22-25.04.2022	აღდგომის სადღესასწაულო დღეები
09.05.2022	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
12.05.2022	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2022	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ზამთრის არდადეგები - 30 დეკემბრიდან - 16 იანვრის ჩათვლით;

საგაზაფხულო არდადეგები - 08 მარტიდან - 14 მარტის ჩათვლით;

სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
- ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;
- გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;

II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი;

III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი.

გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.);
- ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს.

გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა I; II; III-XII კლასებში განსხვავებულია, გამომდინარე იქედან, რომ ყველა გაკვეთილი იწყება ერთსა და იმავე დროს.

გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)

გაკვეთილი	დაწყება	დასრულება I კლასი	დასვენება I კლასი	დასრულება II კლასი	დასვენება II კლასი	დასრულება III-XII კლასი	დასვენება III-XII კლასი
I	09.00	09.35	15 წთ	09.40	10 წთ	09.45	5 წთ
II	09.50	10.25	15 წთ	10.30	10 წთ	10.35	5 წთ
III	10.40	11.15	15 წთ	11.20	15 წთ	11.25	10 წთ

IV	11.30	12.05	20 წთ	12.15	10 წთ	12.20	5 წთ
V	12.25	13.00	15 წთ	13.05	10 წთ	13.10	5 წთ
VI	13.15	-----	-----	13.55	10 წთ	14.00	5 წთ
VII	14.05	-----	-----	-----	-----	14.50	5 წთ

საათობრივი ბადე

გასული ბოლო ორი სასწავლო წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, სკოლა „გორდა“ 2021-2022 სასწავლო წლისთვის სწავლებას ახორციელებს მესამე მოდელის მიხედვით შედგენილი სასკოლო საათობრივი ბადის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ კვირეულ საათობრივ დატვირთვასთან შედარებით, სკოლის რამდენიმე კლასსა და საგანში შეთავაზებულია განსხვავებული საათობრივი დატვირთვა (სკოლა, თავისი შეხედულებისამებრ შემუშავებულ საათობრივ ბადეს და შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას, წარუდგენს სამინისტროს).

შედგენილი სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად, რომელშიც ეროვნული სასწავლო გეგმით რეკომენდებული ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური საათობრივი დატვირთვა გაზრდილია სკოლის დაფინანსების ხარჯზე, უცხოური ენებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი სასწავლო დისციპლინების სწავლების გაძლიერების მიზნით.

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა

2021-2022 სასწავლო წელს ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლამ, 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესის განხორციელება მოხდება მხოლოდ დისტანციური სწავლების ფორმით.

შემდგომშიც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე.

სკოლაში დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით).

ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების ან/და ბეჭდური რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას.

ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული

საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით (შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შეთანხმებით).

2021 წლის 04 ოქტომბრამდე სკოლაში სასწავლო პროცესის სრულად ელექტრონულად, სინქრონულად წარმართვა გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული პლატფორმის Edu Page გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას. გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩაწერილი ვიდეოგაკვეთილები, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სკოლიდან (სისტემისგან) ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს.

დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბაღე

დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მაქსიმალურად იქნება დაცული სარეკომენდაციო დატვირთვა (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით:

კლასი	I-IV	V-IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	1 საათი	1.5 საათი	2 საათი

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება და ა. შ.

2021 წლის 15 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე და, ასევე, შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი დღის რეჟიმით:

II- IV კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	10:00	10:35	35 წუთი
II	10:45	11:20	35 წუთი
III	11:30	12:05	35 წუთი

IV	12:15	12:50	35 წუთი
V	13:00	13:35	35 წუთი

V-XII კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	10:00	10:35	35 წუთი
II	10:45	11:20	35 წუთი
III	11:30	12:05	35 წუთი
IV	12:15	12:50	35 წუთი
V	13:00	13:35	35 წუთი
VI	13:45	14:20	35 წუთი

2021 წლის 15 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე და ასევე, შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი განხორციელდება დისტანციური სწავლების სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით(იხილეთ, დანართი № 1).

დისტანციური სწავლების მონიტორინგი

დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და კვლევები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით:

- ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;
- მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;
- მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა;
- დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

საგნობრივი კათედრები

სკოლაში თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა გაერთიანებები/კათედრები.

სკოლაში კათედრების მოწყობის წესი:

სკოლაში ყველა კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დასაწყისშივე და ირჩევს კათედრის თავმჯდომარეს სამი სასწავლო წლის ვადით (ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ ორჯერ). საგნობრივი კათედრები აერთიანებენ სკოლის ყველა მასწავლებელს.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი ჯგუფების ხუთი კათედრა:

1. სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების;
2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო დისციპლინებისა და ისტ ტექნოლოგიების;
3. უცხოური ენების;
4. დაწყებითი კლასების;
5. ესთეტიკისა და სპორტის.

კათედრების მიხედვით საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპები:

სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა :

1. სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა;
3. უცხოური ენების კათედრა;
4. დაწყებითი კლასების (I-IV კლასები) კათედრა;
5. ესთეტიკისა და სპორტის კათედრა.

სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებენ საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

კათედრების ფუნქციებია:

საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო

ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
 ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
 რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
 შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
 სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად, საგნებში სასწავლო საათების განაწილება კათედრის პედაგოგებს შორის კლასების მიხედვით;
 საგნებში ვაკანტურ თანამდებობაზე პედაგოგების მისაღებად სასკოლო საკონკურსო კომისიაში წარმომადგენლების გამოყოფა;
 პერიოდულად სკოლაში საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და დასკვნების მომზადება;
 სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, მონაწილეობის მიღება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მისი პედაგოგიურ საბჭოში წარდგენისა და დამტკიცების მიზნით;
 ანგარიშების წარდგენა, საგნობრივი სასწავლო გეგმებისა და მათი განხორციელების პროექტის შემუშავება.
 კათედრის მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება.
 სხვადასხვა სახის კონკურსში, ოლიმპიადასა და კონფერენციაში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
 სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების მოძიება და მათი სკოლაში დანერგვა, განხორციელება.
 შიდა სასკოლო ოლიმპიადებისა და კონფერენციების ორგანიზება.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
 კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. გრიფინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
 მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრები, ტრენინგები, კონფერენციები და სხვა) ორგანიზება.
 კათედრის მუშაობის წლიური და სტარეტეგიული გეგმის შემუშავება, კათედრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
- დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

ამ მიზნის რეალიზებისათვის სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო კომპლექსური დავალებების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასებაზე აქტიური მუშაობა.

მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლა ცდილობს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას და მოსწავლის პროგრესის შეფასებას.

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით, ხუთი დონის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით .

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებელი წერს მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. ყოველი წლის ბოლოს კლასის დამრიგებლები წერენ მოკლე წერილობით შეფასებას, ხოლო IV კლასის ბოლოს კი შემაჯამებელ წერილობითი შეფასებას, რომელიც სამომავლოდ ედება საფუძვლად შემდგომი პერიოდის სადამრიგებლო და სხვა სახის სამუშაო გეგმების შედგენას.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
- ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
- ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
- გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI - XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

სასკოლო სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, V კლასის მეორე სემესტრისა და VI-XII კლასების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს წლის განმავლობაში, სემესტრების მიხედვით ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას (იხილეთ, დანართი № 6).

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერიტი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის

შექმნა, მოთხოვნის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებებში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე (განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგალითად, მოსწავლის ავადმყოფობის შემთხვევაში, საკითხის განხილვა მოხდება კათედრის სხდომაზე) ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით);

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულას წარმოადგენს.

საფეხურის ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

ქულების გამომანგარიშების წესი

სკოლა საგნის, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამომანგარიშებას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით.

ა) თუ მოსწავლეს, სემესტრის მიმდინარეობისას სკოლაში გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ბ) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლაში გადმოსვლისას, განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის

სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

კლასისა და საფეხურის დაძლევა

კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.

დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

გაცდენები

მოსწავლის გაცდენები აღირიცხება და გაცდენებზე რეაგირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით.

შინ სწავლება

სკოლა შინ სწავლებას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით.

გამოცდის ტიპები

სკოლაში ტარდება შემდეგი გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა

სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი

განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება საგამოცდო კომისია საგნის მასწავლებლის, შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის წარმომადგენლის შემადგენლობით.

სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

საშემოდგომო გამოცდა მოსწავლეს ენიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე, ნაკლები.

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) სკოლის დირექტორი ბრძანებით ქმნის დროებით საგამოცდო კომისიას, რომელსაც დაევალება საშემოდგომო გამოცდის ჩატარება იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც ვერ გადალახეს კონკრეტულ საგანში (საგნებში) სკოლის მიერ განსაზღვრული ბარიერი. დროებითი კომისიის წევრებად დაინიშნებიან: 1) დირექციის ერთი წევრი, 2) იმ საგნის მასწავლებელი, რომელშიც ტარდება გამოცდა და არ ასწავლეს ამ მოსწავლეს და 3) საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი.

ბ) სკოლის დირექცია ნიშნავს კონსულტაციებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც უნდა ჩატარდეს საშემოდგომო გამოცდები. კონსულტაციებს ჩაატარებენ საგნის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს. კონსულტაციების ჩატარებას მონიტორინგს გაუწევს დროებითი კომისია.

გ) საშემოდგომო გამოცდა ინიშნება მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

ე) საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისათვის.

ვ) მოსწავლე საშემოდგომო გამოცდას აბარებს დროებით საგამოცდო კომისიას.

ზ) მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე.

საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

თ) საშემოდგომო გამოცდისათვის საკითხებს ამზადებს საგნის მასწავლებელი, რომელიც არ ასწავლის მოსწავლეს.

ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც

საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

სკოლაში გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა

1. რეგულირების სფერო და მიზანი

სკოლაში ყველა ტიპის გამოცდის ჩატარების წესი არეგულირებს და უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

2. გამოცდის/გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

სკოლაში გამოცდა/გამოცდები ტარდება „აკადემიური კალენდრით“ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

გამოცდის/გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით საგნის მასწავლებელი ვალდებულია გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე, სკოლის დირექციასთან შეთანხმოს გამოცდის ჩატარების დრო და საჭირო ტექნიკური საშუალებები. საგამოცდო დავალებების გამრავლებასა და გამოცდისთვის მომზადებას უზრუნველყოფს საგნის მასწავლებელი.

3. გამოცდის/გამოცდების მიმდინარეობა

გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი.

წერიტი გამოცდის დაწყების და დასრულების დრო, წინასწარ არის განსაზღვრული, რომლის ამოწურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა მოსწავლე აბარებს ნაწერს მასწავლებელს.

გამოცდაზე იკრძალება გადაწერა ნებისმიერი მასალის გამოყენებით (თუ მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული ამ მასალის გამოყენება) ან გადაწერაში დახმარება.

გამოცდის მსვლელობისას დაუშვებელია საუბარი, გადალაპარაკება, საკლასო ოთახის უნებართვოდ დატოვება.

მასწავლებელი ვალდებულია გამოცდის დაწყებამდე მოსწავლეს აცნობოს გამოცდის მიმდინარეობის პროცედურები და პროცედურების დარღვევის შემთხვევაში მათზე რეაგირების მექანიზმები.

4. გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი:

მოსწავლის კლასის დამრიგებელი ვალდებულია გამოცდის/გამოცდების შედეგი/შედეგები

მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 5

სამუშაო დღის ვადაში. გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, თუ მოსწავლე ან მშობელი

თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას უფლება აქვს შეფასების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლის დირექტორთან წარადგინოს წერილობითი მიმართვა.

შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, სკოლის დირექტორი შესაბამის საგნის მასწავლებელს (რომელიც არ ღებულობდა მოსწავლის შეფასებაში მონაწილეობას), უგზავნის მოსწავლის ნაშრომს დამატებითი შეფასებისათვის.

სათანადო ობიექტური გარემოებების არსებობისას, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი გამოცდა, განმეორებითი გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საგამოცდო კომისია საგნის მასწავლებლის, შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის წარმომადგენლის შემადგენლობით.

განმეორებით გამოცდაზე გასული მოსწავლისათვის საგნის საგამოცდო ქულას განმეორებით გამოცდაზე მიღებული ქულა წარმოადგენს.

განმეორებითი გამოცდა ინიშნება ძირითადი გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების აღიარება

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება წარმოებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ა) გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები (დანართი № 5) ;
- ბ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრიტო, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრიტო, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ

ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ.

მუსიკა: პიანინო, დისკები, ქართული ხალხური საკრავების პლაკატები და ა.შ.

სპორტი: ბურთები, ჭადრაკის დაფები, ჰულაჰოპები და სხვა.

სადამრიგებლო პროგრამა

სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ეფუძნება საქართველოს კანონში - ზოგადი განათლების შესახებ და ესგ-ში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს და შექმნილია მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის საფუძველზე. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც, ასევე ამავე სკოლის პედაგოგია (მათ კანდიდატურებს დირექტორთან წარადგენს მოადგილე სასწავლო დარგში, რის შემდეგაც ხდება მათი დამტკიცება დირექტორის მიერ).

დამრიგებელი სკოლაში იმყოფება სწავლის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, კლასის სასწავლო პროცესის დასრულებამდე.

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; განუვითაროს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება; დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

კლასის დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებელს ევალება:

ელექტრონული ჟურნალისა და სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება;

სადამრიგებლო პორტფოლიოს წარმოება;

სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და დასწრების შესახებ ინფორმაციის ყოველდღიურად ასახვა სკოლის ელექტრონულ ჟურნალში (Edu.Page).

სასწავლო წლის დასაწყისშივე, მოსწავლისა და მისი მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ

გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ (მშობელთა კრების ოქმი, კლასის საათის ოქმი);

გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.

დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური, თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

რეგულარულად (მინიმუმ, თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით; მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება/დახასიათება.

სასწავლო წლის დასრულებისას თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათების დაწერა, სადაც აღწერს:

ა) მოსწავლის ძლიერ მხარეებს, მის წარმატებებს, როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში;

ბ) მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

სკოლის ფსიქოლოგთან ერთად მოსწავლეების განვითარებაზე თვალის დევნება და სათანადო აღმზრდელობითი და დისციპლინარული ღონისძიებების გატარება;

განსაკუთრებული სირთულის აღმზრდელობით და სადისციპლინო პრობლემების არსებობის შემთხვევაში, კორექციული და პრევენციული ზომების გატარება. პრობლემის გადაუჭრელობის შემთხვევაში დირექციის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ;

სასწავლო ოთახის მოწყობა-მოწესრიგებაზე ზრუნვა;

საკლასო, სასკოლო და სასწავლო ღონისძიებების ორგანიზება-განხორციელება;

მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა.

მოსწავლეთა წახალისება სხვადასხვა კლასგარეშე მუშაობის წარმართვაში _ კლუბებში, წრეებში ჩართულობა;

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ნიშნები საშუალოზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა.

დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

საუბრები მოსწავლეებთან;

დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
 ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე,
 სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან
 შეხვედრების მოწყობა;
 მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

დამრიგებელი

2021-2022 სასწავლო წელი

მოსწავლის სახელი და გვარი

კლასი -----

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების შეფასების ცხრილი

1. პასუხისმგებლობა	სისტემატიურად ასრულებს დავალებებს	არ ავიწყდება სასწავლო ნივთები. არ ავიანებს	იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავისსა და სხვის უფლებებს
2. თანამშრომლობა	ზრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ	თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს	მეგობრული და კომუნიკაბელურია
3. კრიტიკული აზროვნება	მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას	ბევრ კითხვას სვამს, მამიებელია	აქვს საინტერესო იდეები
4. ცოდნის გამოყენება	ახარისხებს საჭიროების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას	ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს	სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს

	კონკრეტულ საკითხთან		
5. საპრეზენტაციო უნარები	ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს	იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება- დამუშავების უნარებს
6. შემოქმედებითობა	აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები	აანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია	შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის შექმნა
7. ლოგიკური აზროვნება	შეუძლია მიღებული შდეგების განზოგადება, კავშირის დამყარება სხვა სტრუქტურებთან	ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო ალგორითმის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტურობის დასაბუთებას	ახერხებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ადგენს კავშირებს და მიმართებებს, აყალიბებს ანალოგიებს, ახდენს საკითხის არსის წარმოჩენას

ანალიზი.....

.....

.....

რეკომენდაცია

1)

2)

3)

დამრიგებელი

დირექტორის მოადგილე

მშობელი

მოსწავლის პროგრესის შესახებ დამრიგებელი მშობელს აწვდის ინფორმაციას და ცდილობს ჩართოს ის სასკოლო ცხოვრებაში.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით.

სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისე ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

სკოლა გამოცდილებიდან გამომდინარე ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის საჭიროებების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

ისგ-ჯგუფში გაერთიანებული იქნებიან პედაგოგები, მშობელი, ექიმი/ექთანი, ფსიქოლოგი, დამრიგებელი და ა.შ.

სკოლის კიბეზე (I სართულიდან II სართულამდე-ლიფტამდე) გაკეთებულია პანდუსი, რომლის საშუალებითაც ისინი იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.

ისგ ჯგუფის მიერ, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა);

მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.

მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;

ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;

სკოლა წახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდევ, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;

სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);

ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატი მანიპულაციები, (მათემატიკის)

დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;

სმენითი გზით სწავლებისას ჩაუტარდებათ დისკუსიები, ლექციები, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება მის ინტონაციაზე, მეტყველების ტემპზე;

გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;

ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;

მიეწოდება მოთხრობები სოციალური უნარების დასასწავლად.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზანია:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა;
 მოსწავლეთათვის ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება;
 მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებისათვის სათანადო პირობების შექმნა;
 არჩევანის თავისუფლების ხარისხის გაზრდა;
 არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვა.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ამოცანებია:

სკოლის მოსწავლეებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში (შემდგომში „სტანდარტზევით მომსახურება“ – შიდასასკოლო სერვისები), ასევე, სკოლაში არარეგისტრირებული მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სერვისების (შემდგომში „აიმც“ - გარესასკოლო სერვისები) შეთავაზება;
 კათედრის გამგეების, პედაგოგებისა და დირექტორის მოადგილეების მიერ შემუშავებული, სკოლის დირექტორთან შეთანხმებული და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული, შესაბამისი პროგრამების მიხედვით სტანდარტზევით მომსახურების განხორციელება.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების ფარგლებში :

- **უცხოური ენების გაძლიერებული სწავლების მიზნით:** ა) გაზრდილია პირველი უცხოური ენის კვირეული საათობრივი დატვირთვა I-VIII კლასებში -1 საათით; IX-XI კლასებში -2 საათით, ბ) მეორე უცხოური ენა - რუსული ენა ისწავლება მეორე კლასიდან, II კლასებში 1-1 საათი; III-IV კლასებში 2-2 საათი);
- დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასებში) მუსიკის კვირეული საათობრივი დატვირთვა შემცირებულია 1 საათით. სასკოლო ბაღში შეტანილია ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი - ქართული ეროვნული ცეკვები;
- V-VI- კლასებში კომპიუტერიული ტექნოლოგიები შემცირებულია 1-საათით და დამატებითი მომსახურების სახით შემოტანილია „ბიბლიოთეკის საათი“;
- VII-VIII კლასებში, ფაკულტატურის სახით, შემოტანილია თექა-ბატიკა-გობელენის სწავლება (1 კვ. საათი);
- IX კლასში, გაზრდილია ქიმიის საათები 2 აკადემიური საათით ;
- XII კლასში სკოლის კონცეფციიდან - "სკოლა რეპეტიტორის გარეშე!" - გამომდინარე, გაზრდილია კვირეული საათობრივი დატვირთვა საგნებში: ისტორია-2 საათი, ქართული ენა და ლიტერატურა - 5 საათი, მათემატიკა - 2 საათი, პირველი უცხოური - 4 საათით, რაც ხელს შეუწყობს თითოეულ მოსწავლეს

ესგ-ით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, შედეგების დაძლევისა და წინარე ცოდნის განმტკიცებაში;

სკოლაში ფუნქციონირებს : კლუბი : ART-CLAB „ოქროს კალამი“, სამოქალაქო განათლების კლუბი; ხელოვნების სახელოსნო (გობელენი-თექა-ბატიკა, ფარდაგი); ხალხური საკრავებისა და ფოლკლორის ანსამბლი „თოლია“, ქართული ცეკვების, ჭადრაკის, ხელოვნების, ფიზიკისა და ბიოლოგიის წრეები; კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრი.

წარმოდგენილი მოდელით, სასკოლო საათობრივი ბადიდან არ არის ამოვარდნილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი სავალდებულო საგანი.

სასკოლო საათობრივი ბადეში წარმოდგენილი ცვლილებები ხელს არ უშლის სკოლას სავალდებულო საგნების სწავლებისას სრულად დაფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით თითოეული საგნისთვის განსაზღვრული შედეგი, დაცულია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების სარეკომენდაციო დატვირთვის ბალანსი. გახანგრძლივებული დღის მომსახურებით მოსარგებლე მოსწავლე უზრუნველყოფილია სრულფასოვანი კვებისა და დასვენების შესაძლებლობით.

სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების პროგრამების ფარგლებში, სკოლის ადმინისტრაციის მიერ სათანადო სერვისების მმართველი ჯგუფის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ: დირექტორის მოადგილე-სასწავლო დარგის მენეჯერი, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, პროგრამის კოორდინატორები, ფინანსური მენეჯერი, დამლაგებელი.

სერვისების მმართველი ჯგუფის მიერ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება და სამუშაო ჯგუფების, წრეების დაკომპლექტება.

სტანდარტზევით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, პროგრამის კოორდინატორების შერჩევა და მათთან ხელშეკრულების გაფორმება.

სკოლის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტზევით მომსახურების ფასიანი პროგრამების ფარგლებში, ყველა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (კლუბები და წრეები)					
№	სერვისის დასახელება	კურსის ხანგრძლივობა	კლასები	მასწავლებელი	შენიშვნა ფასიანი/უფასო
1	ART-CLAB „ოქროს კალამი“	ოქტომბერი-მაისი	II-IX	ბელა ქეზურია	უფასო
2	სამოქალაქო განათლების კლუბი	ოქტომბერი-მაისი	VII-X	გიორგი არობელიძე	უფასო
4	ხელოვნების სახელოსნო(გობელენი-თექა-ბატიკა, ფარდაგი)	ოქტომბერი-მაისი	VI-VIII	ნარგიზ ფუტყარაძე	უფასო
5	ფოლკლორული და ხალხური საკრავების ანსამბლი „თოლია“	ოქტომბერი-მაისი	II-IX	ეთერ დარჩიძე	უფასო
6	ქართული ცეკვების წრე	ოქტომბერი-მაისი	I-IV	მიხეილ მელუა	უფასო
7	მაგიდის ჩოგბურთი	ოქტომბერი-მაისი	V-VIII	ნონა კაიტამბა	უფასო
8	ხელოვნების წრე	ოქტომბერი-მაისი	II-VIII	ლელა შავაძე	უფასო
9	ფიზიკის წრე	ოქტომბერი-მაისი	VI-XI	ეკა ნანაძე	უფასო
10	ბიოლოგიის წრე	ოქტომბერი-მაისი	VII-XI	მაია დევიძე	უფასო
11	ჭადრაკის წრე	ოქტომბერი-მაისი	I-VIII	ნონა კაიტამბა	უფასო
12	კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრი	ოქტომბერი-ივნისი	I-VI	თეონა კოპლატაძე	ფასიანი

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით, სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობების, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება ; გაფორმებულია მემორანდუმი სსიპ კოლეჯი „ბლექსთან“; დაგეგმილია პრაქტიკული შეხვედრები და თეორიული საკითხების კურსი, მოსწავლეთა

ინტერესების კვლევის საფუძველზე, პერიოდულად მოეწყობა შეხვედრები დარგსა და სპეციალობებში გამოჩენილ პროფესიონალებთან, სკოლაში ფუნქციონირებს „კულინართა“ და „თექა, ბატიკა, გობელენის“ კლუბები.

სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები:

- დანართი № 1 სასკოლო საათობრივი ბადე დისტანციური სწავლებისას;
- დანართი № 2 - სასკოლო საათობრივი ბადე პირისპირ სწავლებისას;
- დანართი № 3 - გაკვეთილების ცხრილი დისტანციური სწავლებისას;
- დანართი № 4 - გაკვეთილების ცხრილი პირისპირ სწავლებისას;
- დანართი № 5 - არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- დანართი № 6 - შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების და საგნების მიხედვით;
- დანართი № 7 - სასკოლო ღონისძიებების ჩამონათვალი;
- დანართი № 8 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში